დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
თამარ მიდელაშვილი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208156261

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	ილია ბაბუციძის ქუჩა N12
საფოსტო ინდექსი	**0137**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://modzgvari.edupage.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skolamodzgvari@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(+995 32) 2 704 734; (+995) 595 704 634

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 05.05.2025 წლის ბრძანება MES 8 25 0000480202
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	15.05.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 28 მარტს შემოვიდა წერილი №351238 სადაც მოქალაქე გ.დ. მიუთითებდა შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში I კლასის მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევების შესახებ. განცხადება ეკუთვნის სკოლის მოსწავლის მშობელს, მამას. განცხადებაში მშობელი წერს, რომ მოსწავლის (მისი შვილის) „თქმით მასზე ხდება ფიზიკური ძალადობა მასწავლებლების, კონკრეტულად დამრიგებლისა და გახანგრძლივებულის მასწავლებლის მხრიდან“. განმცხადებლის თქმით ის ესაუბრა ზემოაღნიშნულ მასწავლებლებს და დირექტორის მოადგილეს. მასწავლებლებმა უარყვეს ბავშვზე ძალადობის ფაქტი, ხოლო დირექტორის მოადგილემ კი განაცხადა, რომ ბავშვი არის „უზრდელი“ და სჭირდება „სპეციფიური მიდგომა და აღზრდა“.

განმცხადებლი თავის განცხადებაში ასევე მიუთითებს, რომ მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების შემდეგ ბავშვი აღარ საუბრობს მასზე ფიზიკური ძალადობის შესახებ, თუმცა „დაეწყო შიშები“ სკოლაში წასვლასთან დაკავშირებით და საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას. მშობლის განცხადებით, ბავშვი თანახმა იყო სკოლის შეცვლაზე, თუმცა დედის ოჯახის გავლენით (განმცხადებლის თქმით „ბავშვზე ფსიქოლოგიური ზეწოლით“ და დირექტორის მოადგილის გავლენით, რომელიც არის ნათესაურ კავშირში მოსწავლის დედასთან), ბავშვი უარს აცხადებს სკოლის შეცვლაზე, მაგრამ განაგრძობს საუბარს მოსწავლეთა მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე და შესაბამისად მისი მხრიდან თავდაცვასა და ასევე „პასუხის დაბრუნებაზე“ რაზედაც იღებს „მასწავლებლების მხრიდან განსაკუთრებულ დასჯას საყვედურის, რვეულის დარტყმის, თმების მოქაჩვის, ტანსაცმლის ჯაჯგურის გამოხატვით“.

განცხადებაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილი იქნა 2025 წლის 5 მაისის ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება. მონიტორინგი განხორციელდა 2025 წლის 15 მაისს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	231

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვიზიტის აღწერა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- სკოლის მიერ მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება, მათ შორის, უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა;
- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პიროებების დოკუმენტი და დოკუმენტით განსაზღვრული პროცესების აღსრულება;
- სკოლის სტრუქტურა, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მათი აღსრულება;
- თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფაქტების არსებობა, საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა და საჩივრების განხილვის პროცესი;
- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა და აღნიშნული მექანიზმების აღსრულების პროცესი;
- სკოლის ფსიქოლოგიური და ემოციური გარემო. სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო გეგმისა და სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა და შესაბამისი აქტივობების განხილვა;
- სკოლის შიდა რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, მათ შორის შინაგანაწესი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციით განსაზღრული ქმედებების განხორციელების პროცესი და აღნიშნული ქმედებების კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობა;
- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმისა და გახანგრძლივებული წრის პროგრამა;
- მოსწავლის მიერ სკოლისგან მიღებული მხარდაჭერის მექანიზმები;
- მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის და სკოლის მიერ აღნიშნული უკუკავშირების გათვალისწინების მაგალითები.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, შემოწმდა დღის წესრიგსა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები, პირისპირ რეჟიმში განხორციელდა ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, დირექციასთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათ შორის განცხადების ავტორთან და მის ყოფილ მეუღლესთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან.

დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიგდენთ განცხადებაში დაფიქსირებულ შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის სხვა მნიშვნელოვანი მიგნებები და მათთან დაკავშირებულ საკითხები მოცემულია დასკვნის ძირითადი ნაწილის რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობაში.

განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში დადგინდა შემდეგი ფაქტები:

- განცხადების ავტორს სკოლისთვის ოფიციალური საჩივრით არ მიუმართავს და შესაბამისად სკოლას საჩივრის საფუძველზე მოკვლევა არ აქვს განხორციელებული;
- მშობელი (განცხადების ავტორი) არ იცნობს მშობლის უფლება-მოვალეობებს. არ არის ინფორმირებული, რომ შეუძლია განცხადებით/საჩივრით მიმართოს სკოლას და დაიცვას საკუთრი უფლებები მიუხედავად იმისა, რომ სკოლას განცხადებისა და საჩივრის წესი აქვს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის (მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში) მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს სკოლის ყველა მოსწავლესა და მშობლისათვის საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დამრიგებლების მეშვეობით, ხოლო მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემების ნაწილში სკოლა აცხადებს, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნობს სკოლის **შინაგანაწესს**, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს. შინაგანწესის მე - 17 თავის 65-ე მუხლი კი განმარტავს განცხადების / საჩივრის განხილვის წესს. გამომდინარე ზემოთთქმულიდან იკვეთება ხარვეზები დამრიგებლის მუშაობაში.
- მოსწავლე ა.დ. კვირის გარკვეულ დღეებს ატარებს მამასთან, გარკვეულ დღეებს დედასთან. მასწავლებლების განმარტებით, როდესაც მოსწავლე რჩება მამასთან, ნაკლებად მომზადებული მოდის სკოლაში. მშობლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დედას აქვს წვდომა სკოლის ელექტრონულ ჟურნალზე და შესაბამისად იმ დავალებებზე რასაც მოსწავლეს აძლევენ მასწავლებლები, მამას არა. აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს სკოლის წარმომადგენლებმაც. დედის განმარტებით, როდესაც ბავშვი არის მამასთან დავალებებს თავად უგზავნის მამას;

- მოსწავლის როგორც დედასთან, ასევე მამასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ორივე მშობელმა მიმართა სოციალურ მუშაკს. სკოლის დირექტორმა და მოსწავლის დამრიგებელმა დაადასტურეს სოციალური მუშაკის ვიზიტის ფაქტი სკოლაში მიმდინარე წლის აპრილში;
- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლე არის ცელქი და მასთან ხშირად უწევთ ქცევის წესებზე საუბარი. მოსწავლესთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მან იცის, რომ „არ შეიძლება ცუდად მოქცევა“, თუმცა რას ნიშნავს ცუდად მოქცევა ვერ დააკონკრეტა. მოსწავლე ინტერვიუს დროს იყო თავისუფლად, საუბრობდა დასვენებაზე როგორ ერთობა თანაკლასელებთან ერთად და მათ შორის როგორ კინკლაობენ ხოლმე;
- სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც სკოლაში ვიზიტის დროს არ იმყოფებოდა ადგილზე (იყო ქვეყნის ფარლებს გარეთ). მისი, მიმდინარე სასწავლო წელს, სკოლაში მუშაობის დამადასტურებელი ფაქტები დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. ფსიქოლოგის მუშაობის ფაქტები არ დადასტურდა ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას. სკოლას, ვაკანსიების ოფიციალურ გვერდზე https://teacherjobs.ge - ზე, ჰქონდა განაცხადი ფსიქოლოგის ვაკანსიის თაობაზე (9-19 აპრილი), თუმცა დირექციის განმარტებით შესაბამისი კადრი ვერ შეირჩა;
- სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ და ა.შ. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. სასკოლო სასწავლო გეგმით დამრიგებლებს უნდა ჰქონდეთ დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამები კლასების მიხედვით, რაც ვიზიტის პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი. სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიებები, მათ შორის ბულინგთან, ტოლერანტობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშრებით ძირითადად დადასტურდა მხოლოდ საბაზო-საშუალო საფეხურზე განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალით;
- მოსწავლის ა.დ. პირად საქმეში არ იყო მამის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ პირველ კლასში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა სხვა დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პირადობის მოწმობების ასლები.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ 2025 წლის 02 ივნისს წარმოადგინა კორესპონდენცია (N4/32, ცენტრში რეგისტრაციის N617299), დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან/ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ხარვეზებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია რიგ ინდიკატორებთან მიმართებაში. კერძოდ,

- ინდიკატორი 3.1.1.1. სკოლამ განახორციელა ცვლილებები და შესაბამისობაში მოიყანა სკოლის სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება, სკოლის შინაგანაწესი (ბრძანება N2-25. 20.05.2025წ.), საშტატო განრიგი (ბრძანება N2-27, 20.05.2025წ.) და სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტი (ბრძანება N2-26, 20.05.2025 წ). განახლებული დოკუმენტები დაწესებულებამ დაურთო არგუმენტირებულ პოზიციას. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა დოკუმენტებში განსაზღვრული თანამდებობრივი პოზიციების დასახელებები და ასევე ამ პოზიციებზე განსაზღვრული პირთა ფუნქცია-მოვალეობები. შინაგანაწესში საქმისმწარმოებლის, IT მენეჯერის, ბიბლიოთეკარის, ექთნის, დამლაგებლის ზოგადად ჩამოყალიბებული ფუნქცია-მოვალეობები დააკონკრეტა და განავრცო სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტში. რაც შეეხება სკოლის ვიზუალურ სტრუქტურას მასში არ ჩანს ფინანსური მენეჯერი, რომელიც დანარჩენ სამ დოკუმენტში ასახულია. სკოლას მიეცა რჩევა სასურველია სკოლის ვიზუალურ სტრუქტურაში ასახოს ფინანსური მენეჯერის პოზიცია. ამრიგად, 3.1 კომპონენტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

- ინდიკატორი 3.4.1.6. სკოლას პერსონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობა, მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და დასაქმებულებისგან არ აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული, რადგან ის ჩაშენებულია შესაბამის პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
  სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა პერსონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობა მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და დასაქმებულებისგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, წერილობით მოპოვებული. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩათვალა. თუმცა ამით კომპონენტის შეფასება არ შეცვლილა. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მიიჩნევს, რომ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მიღება გამართლებული არ არის შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით და ამისათვის უნდა შემუშავდეს ცალკე ფორმა, სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია სკოლის მიდგომა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტკასთან, მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებთან, მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებიდან პერსონალურ მონაცემთა თანხმობაზე მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, ხოლო ახალ ხელშეკრულებებში საერთოდ ამოღებულ იქნას ხელშეკრულების დრაფტებიდან პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ჩანაწერი.

- ინდიკატორი 3.4.1.8. სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა მისივე შიდამარეგულირებელი დოკუმენტით, "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", განსაზღვრული დირექტორის მიერ დამტკიცებული კითხვარები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ფსიქოლოგის მიერ განხორციელებული გამოკითხვა და დაეთანხმა სკოლის პოზიციას, რომ იმ კითხვარების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შესაძლებელია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში (15.06.2025წ-მდე).

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მიმდინარე წლის 15 ივნისამდე) შეიმუშაოს კითხვარები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და რომელიც დამტკიცებული იქნება სკოლის დირექტორის მიერ.

სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.3, 3.4.1.4 ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული გამომდინარე იქედან, რომ სახეზე იყო წარსულში დამდგარი ფაქტები ხარვეზების სახით.
ინდიკატორი 3.4.1.3. სკოლაში ვიზიტისას გამოვლინდა, რომ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ ხორციელდება მისივე შიდამარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.3 ინდიკატორის ხარვეზის მომავალში (15.06.2025 წ-მდე) აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხარვეზი განხილული იქნა როგორც უკე დამდგარი ფაქტობრივი გარემოება.

ინდიკატორი 3.4.1.4.სკოლის მარეგულირებელი ნორმებით სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებელი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არ დადასტურდა აღნიშნული პირების მხრიდან მიმდინარე სასწავლო წელს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ფაქტები.
არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა სხვა ფსიქოლოგთან და წარმოადინა ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა (მაისი-ივნისი 2025წ.) გადაამზადა მასწავლებლები „რთული ქცევის მართვა“ -ში, ფსიქოლოგმა განახორციელა რიგი აქტივობები სკოლაში ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხო გარემოს უზრუნელყოფის ხელშესაწყობად.
ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.4. ინდიკატორის ხარვეზის მომავალში (15.06.2025 წ-მდე) აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხარვეზი განხილული იქნა როგორც უკე დამდგარი ფაქტობრივი გარემოება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად 3.4. კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ ხორციელდება მისივე შიდამარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. დაწვრილებით იხ. ინდიკატორის აღწერაში
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	სკოლის მარეგულირებელი ნორმებით სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებელი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ დადასტურდა აღნიშნული პირების მხრიდან მიმდინარე სასწავლო წელს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ფაქტები. დაწვრილებით იხ. ინდიკატორისაღწერაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 15 ივნისამდე) შეიმუშაოს კითხვარები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და რომელიც დამტკიცებული იქნება სკოლის დირექტორის მიერ.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	• კერძო სკოლის საშტატო განრიგი არ საჭიროებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას. მთავარია, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობდეს სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიის მიღწევას. • თუ სკოლის შინაგანაწესში არ შედის რაიმე სახის ცვლილება იგი არ მოითხოვს ყოველ სასწავლო წელს თავიდან დამტკიცებას და შესაბამისად მოქმედების ვადის განსაზღვრას. • სასურველია სკოლის ვიზუალურ სტრუქტურაში აისახოს ფინანსური მენეჯერის პოზიცია.
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	"უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" არ საჭიროებს ყოველწლიურ დამტკიცებას თუ მასში ცვლილება არ იქნა შეტანილი. ცვლილების შემთხვევაში კი საჭიროებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას მის დამტკიცებამდე.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია სკოლის მიდგომა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტკასთან, მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებიდან პერსონალურ მონაცემთა თანხმობაზე მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, ხოლო ახალ ხელშეკრულებებში საერთოდ ამოღებულ იქნას ხელშეკრულების დრაფტებიდან პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ჩანაწერი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გაწერილია დირექტორის მიერ 2023 წლის N2-56 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში (შემდეგში მარეგულირებელი დოკუმენტი), რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების უფლება–მოვალეობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სკოლის შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია 2023 წლის 6 სექტემბრის N2-56 ბრძანებით და განსაზღვრულია, რომ ეს არის 2023-2024 სასწავლო წლის შინაგანაწესი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ აღნიშნული შინაგანაწესი წარმოადგინა როგორც მოქმედი მარეგულირებელი ნორმა ექსპერტებმა ვიხელმძღვანელეთ აღინიშნული დოკუმენტით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა ორგანიზაციის სტრუქტურის ვიზუალური სქემა, რომელშიც ასახულია სკოლის შიგნით სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და პოზიციებს შორის ურთიერთობები, სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულ პირთა მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სტრუქტურის ვიზუალურ სქემაში არ არის წარმოდგენილი დისციპლინური კომიტეტი. მარეგულირებელ დოკუმენტში არის ჩანაწერი, რომ "სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად". გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კერძო სკოლის საშტატო განრიგი არ თანხმდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელ დოკუმენტში საუბარია დირექტორის ერთი მოადგილის უფლებამოსილებაზე, მაშინ როცა სტრუქტურის ვიზუალური სქემის მიხედვით დირექტორს ჰყავს რამდენიმე მოადგილე (დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში და დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში). ამავდროულად მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ბუღალტერი, ხოლო სტრუქტურის ვიზუალურ სქემაში მოცემულია ფინანსური მენეჯერი, დოკუმენტში აღწერილია მტუკის უფლებამოვალოება, ხოლო სტრუქტურაში არის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში. მარეგულირებელ დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ინსტრუქციით განსაზღვრული ვალდებულებები შესაძლებელია დაზუსტდეს თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულებით ან შეთანხმებით - რაც დადასტურდა ფსიქოლოგთან გაფორმებულ ხელშეკრულების განხილვით.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი უფლება-მოვალეობები გაწერილია ასევე სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესში საუბარია სკოლის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე სასწავლო დარგში, რომელიც სტრუქტურაში არ ჩანს (სტრუქტურაში არის დირექტორის მოადგილე სასწავლო - აღმზრდელობით დარგში). შინაგანაწესის მე-40 მუხლში ნახსენებია კლასის კოორდინატორის პოზიცია, რომელიც სხვა არცერთ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი და გაურკვეველია მისი ფუნქცია. საგნობრივი კათედრის მუშაობა რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილით, დამრიგებლის მუშაობა რეგულირდება - სადამრიგებლო მუშაობის დებულებით. ვიზიტისას გამოვლინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ასევე აღმზრდელის ინსტიტუტი. აღმზრდელის ფუნქცია-მოვალეობები სკოლის მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტაციაში არ არის გაწერილი. აღმზრდელის საქმიანობა რეგულირდება მასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

რჩევა:

- კერძო სკოლის საშტატო განრიგი არ საჭიროებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთნხმებას. მთავარია, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობდეს სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიის მიღწევას;
- თუ სკოლის შინაგანაწესში არ შედის რაიმე სახის ცვლილება იგი არ მოითხოვს ყოველ სასწავლო წელს თავიდან დამტკიცებას და შესაბამისად მოქმედების ვადის განსაზღვრას.

ხარვეზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულებაში, სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულ პირთა მარეგულირებელ დოკუმენტში და სკოლის შინაგანაწესში სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების დასახელება აღრეულია, შესაბამისად მათი ფუნქციებიც რიგ შემთხვევაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. განსაზღვრას საჭიროებს კლასის კოორდინატორის ფუნქციები.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ განახორციელა ცვლილებები და შესაბამისობაში მოიყანა სკოლის სტრუქტურის ვიზუალურ გამოსახულება, სკოლის შინაგანაწესი (ბრძანება N2-25. 20.05.2025 წ), საშტატო განრიგი (ბრძანება N2-27, 20.05.2025 წ) და სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტი (ბრძანება N2-26, 20.05.2025 წ). განახლებული დოკუმენტები დაწესებულებამ დაურთო არგუმენტირებულ პოზიციას. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა დოკუმენტებში განსაზღვრული თანამდებობრივი პოზიციების დასახელებები და ასევე ამ პოზიციებზე განსაზღვრული პირთა ფუნქცია-მოვალეობები. შინაგანაწესში საქმისმწარმოებლის, IT მენეჯერის, ბიბლიოთეკარის, ექთნის, დამლაგებლის ზოგადად ჩამოყალიბებული ფუნქცია-მოვალეებები დააკონკრეტა და განავრცო სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში. რაც შეეხება სკოლის ვიზუალურ სტრუქტურას მასში არ ჩანს ფინანსური მენეჯერი, რომელიც დანარჩენ სამ დოკუმენტში ასახულია. სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია სკოლის ვიზუალურ სტრუქტურაში აისახოს ფინანსური მენეჯერის პოზიცია.
ამრიგად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და შესაბამისად, 3.1 კომპონენტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეიცვალა შეფასებით „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ფსიქოლოგთან და აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სადამრიგებლო მუშაობის დებულება;
- არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
- ➢ სკოლის სტრუქტურის განახლებული ვიზუალურ გამოსახულება;
- ➢ სკოლის შინაგანაწესი (ბრძანება N2-25. 20.05.2025 წ);
- ➢ საშტატო განრიგი (ბრძანება N2-27, 20.05.2025 წ);
- ➢ სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტი (ბრძანებაN2-26. 20.05.2025 წ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 12. გასაჩივრების უფლება) „მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება“, სკოლა კი „ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება“. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის აღნიშნულ უფლებას სკოლა შინაგანაწესის 65-ე მუხლით (განცხადების / საჩივრის განხილვის წესი) ადასტურებს, ხოლო საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვისთვის შემუშავებული აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელშიც დაზუსტებულია საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები და წარდგენის, განხილვის ზოგადი წესი და ვადები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი (10.10.2024 წლის ბრძანება N2-55), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის „შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ დისციპლინარული კომიტეტი“- ს მიხედვით. „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ სკოლას განთავსებული აქვს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის შინაგანაწესი ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს. გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. „დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური კომიტეტის არჩევა ხდება ერთი წლის ვადით. დასაქმებულის დისციპლინური სახდელები რეგულირდება შინაგანაწესის მე-40 მუხლით. მე - 40 მუხლი (დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომა და სახდელი) განსაზღვრავს დასაქმებულის დისციპლინურ გადაცდომის არსს და შესაბამის დისციპლინური სახდელს. მათ შორის არის მასწავლებლის/სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა, ბულინგის/კიბერბულინგის დროს უფლებამოსილი პირის/სკოლის დირექციის/სკოლის ადმინისტრაციის/კლასის კოორდინატორის/მასწავლებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა და მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის დროს უფლებამოსილი პირის/სკოლის დირექციის/სკოლის ადმინისტრაციის/კლასის კოორდინატორის/მასწავლებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა. სწორედ ამ აღნიშნულ შესაძლო დარღვევებზეა საუბარი საჩივარშიც. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ დისციპლინური კომიტეტი“, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრავს დისციპლინური კომიტეტის მიზნებსა და ამოცანებს, უფლება-მოვალეობებსა და მუშაობის/გადაწყვეტილების მიღებს წესს, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების და საქმისწარმოების წესს. სკოლას 2024 წლის 10 ოქტომბრის 2-55 ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს აღნიშნული კომიტეტი. შინაგანაწესის და შესაბამისად შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომების ნუსხის, მათთვის გათვალისწინებული სახდელების გაცნობა დასაქმებულისათვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს ხორციელდება. გარდა ამისა, სკოლას ძირითადი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ატვირთული აქვს სკოლის ვებგერდზე, რაც პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების გასაჯაროების საფუძველს ქმნის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ დისციპლინარული კომიტეტი;
- სკოლის ვებგერდი https://modzgvari.edupage.org/

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მშობელთა ინფორმირებისათვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს https://modzgvari.edupage.org/, სატელეფონი ზარებს და სმს-ებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, სოციალური გვერდის დახურულ ჯგუფებს და წერილების გაგზავნის სისტემას. მასწავლებლებთან კომუნიკაციისათვის კი გამოიყენება წერილების გაგზავნის სისტემა, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, კათედრის სხდომები, პირისპირ შეხვედრები კონკრეტული საკითხის განხილვის მიზნით.

სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის (მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში) მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს სკოლის ყველა მოსწავლესა და მშობლისათვის საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დამრიგებლების მეშვეობით, ხოლო მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემების ნაწილში სკოლა აცხადებს, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კითხვარები მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის. კითხვარები საშუალებას იძლევა, რომ სკოლამ გააუმჯობესოს მოსწავლის შეფასების, კარიერის დაგეგმვის აქტივობები, დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები. მოსწავლეთა საჭროებების უკეთ მოკვლევის მიზნით შემუშავებულია მშობლის კითხვარიც. მასწავლებლების კითხვარი სკოლას საშუალებას აძლევს გააუმჯობესოს ძირითადი პროცესების მართვა და გამოავლინოს მასწავლებელთა საჭიროებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2..სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში, ხოლო დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა ცხადყოფს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სასკოლო სასწავლო გეგმას კი ამტკიცებს სკოლის პედსაბჭო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კითხვარები;
- სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი;
- მშობელთან ურთიერთობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თვითმმართველობის დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს დარაჯი. სკოლაში ფუნქციონირებს საშვთა სისტემა, რომელიც მოსწავლის მიერ სკოლის შენობაში შესვლა-გასვლას აფიქსირებს. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით. სკოლის ეზო შემოსაზღვრულია და დაცულია.სკოლის შინაგანაწესის 59-ე მუხლით სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ დაიცვას სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი სხვადასხვა შემთხვევებში. მათ შორის: მასწავლებლის/სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის დროს, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევის დროს, ბულინგის/ კიბერბულინგის დროს, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის დროს, მოსწავლის დესტრუქციული ქცევის დროს.

სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები". (შეთნხმების წერილი 01.08.2022 წ. MES 2 22 0000862278. დამტკიცების ბრძანება №2-73 . 06.09.2023 წ.). დოკუმენტს აწერია 2023-2024 სასწავლო წელი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგინა როგორც მოქმედი დოკუმენტი, ექსპერტების მხრიდან ის იქნა განხილული. აღნიშნული წესის გათვალისწინებით სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხიმგებელი პირები (ბრძანება N2-45, 2024 წლის 6 სექტემბერი). ვიზიტის დროს ერთ-ერთ მათგანთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მისი მოვალეობას მხოლოდ სამეთვალყურეო კამერების ადმინისტრირება წარმოადგენს და არ იცნობს სკოლის დოკუმენტს „უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", რომლის მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით. აღნიშნულ მუხლში მის მრავალ სხვა მოვალეობასთან ერთად ასევე განსაზღვრულია: ძალადობის (მათ შორის, ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა, დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება, დამოუკიდებლად ან სკოლის დირექციასთან ერთად სკოლის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა. სკოლამ ვერ წარმოადგინა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გასახორციელებელი ღონისძებების, მათ შორის, სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლის დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით, მოსწავლეებთან და მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრის და მათთვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება - მოვალეობების გაცნობის დამადასტურებელი მასალა, ასევე არ მოხდა სკოლის დირექციის წარმომადგენლების მხრიდან (რომლის ვალდებულებაც აქვთ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტის მიხედვით) სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

სკოლას მიეცა **რჩევა**

“უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ არ საჭიროებს ყოველწლიურ დამტკიცებას თუ მასში ცვლილება არ იქნა შეტანილი. ცვლილების შემთხვევაში კი საჭიროებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას მის დამტკიცებამდე.

ხარვეზი

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ ხორციელდება მისივე შიდამარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.3 ინდიკატორის ხარვეზის მომავალში (15.06.2025 წ-მდე) აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, რადგან ის შეფასდა როგორც უკვე დამდგარი ფაქტობრივი გარემოება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად 3.4. კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

4.სკოლას შემუშავებული აქვს მედიაციის მარეგულირებელი წესი, რომლის მოქმედების სფეროსაც წარმოადგენს შპს დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარის“ მოსწავლეთა, მშობელთა და სკოლის პერსონალს შორის არსებული კონფლიქტების მოგვარება მონაწილე მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული წესის მიზანია „მოსწავლეებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია მათი კანონიერი წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით“. კონფლიქტის გამოვლენის დროს მედიატორის როლს ასრულებენ დირექტორის მოადგილეები მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების, კლასის დამრიგებლის და ფსიქოლოგის (საჭიროების შემთხვევაში) ჩართულობით. აღნიშნული წესის მოქმედება სკოლაში ვიზიტის დროს არ დადასტურდა, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც დირექციამ, ასევე მასწავლებლებმა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლმა პირმა მოსწავლეთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის კონფლიქტის/დაძაბულობის ფაქტის/ფაქტების არსებობა უარყვეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესის მეორე მუხლის მიხედვით სკოლის შინაგანაწესის მიზნებს შორის არის „სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა“ და „სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება“. შინაგანაწესის მე-19 მუხლით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები, მათ შორისაა დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი მხოლოდ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგს მიიჩნევდა თავის მოვალეობად. შინაგანაწესის მუხლი 20. განსაზღვრავს ფსიქოლოგის ფუნქცია მოვალეობებს. კერძოდ, კი სკოლის ფსიქოლოგი „ხელს უწყობს სწავლა-აღზრდას და აღსაზრდელის სრულყოფილ ფსიქიკურ განვითარებას ყოველ ასაკობრივ საფეხურზე, რისთვისაც ატარებს სათანადო მუშაობას მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან“, ხელს უწყობს პირველკლასელთა სასკოლო ცხოვრებისათვის ადაპტაციას. გამოიკვლევს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენილობის ან სოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ მიზეზებს და ატარებს საკორექციო მუშაობას კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს ბავშვთა და პედაგოგიურ კოლექტივებში ჯანსაღი ფსიქოლოგიური ურთიერთობების დამყარებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს უწევს ფსიქოლოგიური მომსახურებას. ფსიქოლოგის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქტივობები სკოლამ ვერ წარმოადგინა.

როგორც მასწავლებლებთან, ისე მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მოსწავლეებს შორის არის „უმნიშვნელო“ ფიზიკური დაპირისპირების მაგალითები და ამ შემთხვევაში მასწავლებლები შემოიფარგლებიან საუბრებით. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია უფრო ქმედითი მოქმედებები და ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა. ფსიქოლოგთან გასაუბრება ვერ მოხერხდა რადგან არ იმყოფებოდა ქვეყანაში, ხოლო მასწავლებლებთან გასაუბრებით, ფსიქოლოგი ამ პროცესებში არ არის ჩართული. ამ პროცესებში არ არის ჩართული ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, რომლის მიხედითაც დამრიგებელმა სადამრიგებლო საათის ფარგლებში ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა მიმართულებებზე/თემებზე, მათ შორისაა „უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია“; სკოლაში ვიზიტისას, მასწავლებლებთან ინტერვიუთი გამოვლინდა დამრიგებლის ინსტიტუტის არაჯეროვნად ფუნქციონირება, რომლის ძირითად მიზეზად დამრიგებლის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების ცოდნის პრობლემა გამოიკვეთა. სკოლამ ვერ წარმოადგინა კლასების მიხედვით დაზუსტებული სადამრიგებლო გეგმები და შესაბამისი აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიებები, მათ შორის ბულინგთან, ტოლერანტობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშრებით ძირითადად დადასტურდა მხოლოდ საბაზო-საშუალო საფეხურზე განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამრიგად სკოლას შემუშავებული აქვს მთელი რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა ფუნქციონირება ხელს შეუწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს თუმცა აღნიშნული ნორმები სკოლაში არაჯერვნად ფუნქციონირებს.

ხარვეზი

სკოლის მარეგულირებელი ნორმებით სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებელი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ დადასტურდა აღნიშნული პირების მხრიდან მიმდინარე სასწავლო წელს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ფაქტები.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა სხვა ფსიქოლოგთან და წარმოადინა ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა (მაისი-ივნისი 2025წ.) გადაამზადა მასწავლებლები „რთული ქცევის მართვა“ -ში, ფსიქოლოგმა განახორციელა რიგი აქტივობები სკოლაში ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხო გარემოს უზრუნელყოფის ხელშესაწყობად.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.4. ინდიკატორის ხარვეზის მომავალში (15.06.2025 წ-მდე) აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხარვეზი განხილულ იქნა როგორც უკე დამდგარი ფაქტობრივი გარემოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად 3.4. კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებული აქვს ჩანაწერი (მუხლი 11. თანხმობა ფოტო-ვიდეო გადაღების განხორციელებაზე) „ მშობელი ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის ინფორმირებულია სკოლაში სხვადასხვა ღონისძიებაზე და გაკვეთილებზე ფოტო-ვიდეო გადაღებების შესაძლებლობის შესახებ, ანალოგიურად დასაქმებულთან გაფორმებულ ხელშეკრულების მე-10 მუხლშიც ვხვდებით მსგავს ჩანაწერს (წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული აცხადებს თნხმობას მისი პერსონალური ინფორმაცია სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებული იქნას საჭიროებისამებრ). აღსანიშნავია, რომ ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა თანხმობის აღების კრიტერიუმები. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მიცემული თანხმობა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე წინაპირობას: იგი უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი, ამასთან, თანხმობა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, არამედ - მაქსიმალურად მკაფიო და კონკრეტული (განსაზღვრული მიზნით გაცემული). ჩვენს შემთხვევაში ხელშეკრულებებში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენებით დარღვეულია ნებაყოფლობითობის პრინციპი. ვინაიდან, მშობელი / დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული“ ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც.

ხარვეზი

სკოლას პერსონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობა, მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და დასაქმებულებისგან არ აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული, რადგან ის ჩაშენებულია შესაბამის პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა პერსონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობა მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და დასაქმებულებისგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, წერილობით მოპოვებული. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩათვალა. თუმცა ამით კომპონენტის შეფასება არ შეცვლილა. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მიიჩნევს, რომ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მიღება გამართლებული არ არის შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით და ამისათვის უნდა შემუშავდეს ცალკე ფორმა, სკოლას მიეცა **რჩევა** სასურველია სკოლის მიდგომა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტკასთან, მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებიდან პერსონალურ მონაცემთა თანხმობაზე მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, ხოლო ახალ ხელშეკრულებებში საერთოდ ამოღებულ იქნას ხელშეკრულების დრაფტებიდან პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ჩანაწერი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. სკოლის მიერ შემუშავებული “უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ს თანახმად: სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენლები წერილობით, ანონიმურობის დაცვით, შეფასების კითხვარის საშუალებით. კითხვარს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სკოლის დირექტორი. კითხვარი იძლევა სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესი ხორციელდება წელიწადში ერთხელ. სკოლის მიერ წარმოდგენილი არცერთი კითხვარი არ ითვალისწინებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას.

ხარვეზი

სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა მისივე შიდამარეგულირებელი დოკუმენტით, "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", განსაზღვრული დირექტორის მიერ დამტკიცებული კითხვარები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ფსიქოლოგის მიერ განხორციელებული გამოკითხვა და დაეთანხმა სკოლის პოზიციას, რომ იმ კითხვარების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შესაძლებელია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში (15.06.2025წ-მდე). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მიმდინარე წლის 15 ივნისამდე) შეიმუშაოს კითხვარები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და რომელიც დამტკიცებული იქნება სკოლის დირექტორის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 06.09.2023 წლის ბრძანება № 2-73 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-45 (06.09, 2024 წ.);
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი 01.08.2022 წ. MES 2 22 0000862278;
- მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძანება N2-40, 21.06.2024 წ);
- მოსწავლის მშობელან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- სასკოლო სასწავლო გეგმის კონეპტუალური ნაწილი;
- არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
  - ფსიქოლოგის დანიშვნის ბრძანება;
  - ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა;
  - პერსონალურ მონაცემთ დამუშავებაზე წერილობითი თანხმობები;
  - შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
  - ფსიქოლოგის მიერ განხორციელებული გამოკითხვა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა საზოგადოების ინფორომირებას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის, ელექტრონული ჟურნალის, სოციალურ ქსელში დახურული ჯგუფების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.სკოლას ვებგვერდზე ატვრთული აქვს სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი https://modzgvari.edupage.org/

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე შიდამარეგულირებელი რეგულაცია. მათ შორის სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. შინაგანაწესით სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს მოსწავლის საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია ყველა პირობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის უფლებას მიიღოს შესაბამისი განათლება. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძანება № 2-39 21/.06.2024წ), სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მართვაში მოსწავლეთა ჩართულობას. სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გამოლენას და გათვალისწინებას პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (ბრძანება N2-54, 06.09.2023 წ);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძანება № 2-39 21/.06.2024წ),

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
თარიღი 5.06.2025 წ.

ნ. კოხუსაშვილი თ. მიღვაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: